DOI:10.52340/PUTK.2233-3541.2026.28.09

დანაშაულობანი და სასჯელთა სისტემა ქართული სისხლის სამართლის მიხედვით
CRIMES AND THE SYSTEM OF PUNISHMENTS UNDER GEORGIAN CRIMINAL LAW

OTAR GOGOLISHVILI
Batumi Shota Rustaveli State University, professor of the Department of History, Archaeology and Ethnology;
Batumi, Georgia
ORCID: 0000-0002-5196-4155
otargogolishvili@gmail.com
+995 593 617895

Abstract. In the study of early Georgian legal history, criminal law occupies a particularly significant position compared to other branches of law, as its individual legal norms and institutions most clearly reflect the social structure, the relationship between social classes, and the struggle between the ruling and the oppressed strata. Research conducted by Georgian scholars demonstrates that no narrative sources on criminal or civil law from the early feudal period have survived. Nevertheless, in the absence of direct legal sources, it is possible to rely on indirect evidence, including ecclesiastical monuments and historical writings, to reconstruct, as far as possible, materials relating to various aspects of criminal law.

Keywords: *criminal law, legal norms, social structure, early feudal period, indirect sources, historical materials.*

ოთარ გოგოლიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
ბათუმი, საქართველო
ORCID: 0000-0002-5196-4155
otargogolishvili@gmail.com
+995 593 617895

აბსტრაქტი. ძველი ქართული სამართლის პრობლემის კვლევისას სისხლის სამართალს ერთგვარი უპირატესობაც კი ენიჭება სამართლის სხვა დარგებთან შედარებით, იმ მხრივ,რომ სწორედ სისხლის სამართლის ცალკეულ ნორმებსა და

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ინსტიტუტებში უფრო ნათლად ჩანს საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, კლასობრივი თანაფარდობა, ბრძოლა გაბატონებულ და ჩაგრულ ფენებს შორის ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებით დასტურდება, რომ შემორჩენილი არ არის ადრეფეოდალური ხანის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ნარატიული წყაროები ,თუმცა პირდაპირი წყაროების ნაცვლად შეგვიძლია მოვიშველიოთ არაპირდაპირი წყაროები, საეკლესიო ხასიათის ძეგლები, საისტორიო ხასიათის თხზულებები და შეძლებისდაგვარად ამოვკრიბოთ ჩვენთვის საინტერესო მასალები სისხლის სამართლის ამა თუ იმ საკითხზე.

საკვანძო სიტყვები: *სისხლის სამართალი, სამართლებრივი ნორმები, სოციალური სტრუქტურა, ადრეფეოდალური ხანა, არაპირდაპირი წყაროები, საისტორიო მასალები*

შესავალი

სისხლის სამართლის, როგორც სამართლის დარგის აღდგენა-ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს.

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, შემოქმედმა (ე.ი. ღმერთმა) ადამიანთა მოდგმას მათი ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედების ,,სჯული" დაუწესა. შემდეგ გაჩნდა ,,დაწერილი სჯული", რომელიც კანონისა და სამართლის წიგნების წერილობით აღბეჭდილი წესებითა და განგებით იქნა შემოღებული. ასე გაჩნდა კანონმდებლობაც ,,სჯულის წიგნისაი", რომელიც წესების სახით იყო ჩამოყალიბებული. კანონმდებლობის მიზანს ადამიანთა ურთიერთობების მოწესრიგება და იმ მოქმედების საზღვრის დადგენა შეადგენდა, რომლის გადასვლა სახელმწიფოს, სარწმუნოებისა თუ პირ-ოვნების უფლებებისა და ინტერესების შელახვა იქნებოდა. რაკი სჯული, კანონი და წესი უცდომელი და სამართლიანი მოქმედების საზღვრად იქნა აღიარებული, ამიტომ მცნების დამრღვევი მოქმედება ამ საზღვრის ,,გარდასვლათ" იყო მიჩნეული. კანონის და წესის გარდალახვას ,,გარდამავლობითი მოქმედება" ეწოდებოდა. გარდა-მავლობითი მოქმედება შეიძლება ყოფილიყო უმოქმედობის შედეგიც, რასაც იურიდიულად ,,საქმის უგუნებელყოფა" ეწოდებოდა. ბოროტების ხელშე-უშლელობას უგუნებელყოფის გარდა ეწოდებოდა ,,მიშვება". ასევე, კანონის დამრღვევ საქციელს უკანონობაც ეწოდებოდა.

თუ გარდამავლობით მოქმედებას თვისებისა და შედეგის შეფასების თვალსაზრისით მივუდგებით, მაშინ იგი შეიძლება დახასიათდეს როგორც ბრალი, ან როგორც ცოდვა, ან როგორც ბოროტმოქმედება, ან როგორც დანა-შაულობა. დანაშაული ყოფილა იგივე შეცოდება, ე.ი. შავად ქმნა საქმისა. შესაძლებელია ზმნა დაშავების თავდაპირველი მნიშვნელობა სწორედ საქმის შავას ქმნად გულისხმობდა, მაგრამ დაშავება აგრეთვე ვინმესთვის ფიზიკური ან ზნეობრივი ვნების მიყენებას ნიშნავდა. დაშავება ,,ხეიბრად შექმნას" ეწოდ-ებოდა.

ვისაც ბრალი ედებოდა, იმას ბრალეული ერქვა, ვისაც შეცოდება ჰქონდა ჩადენილი, ის შეცოდებული იყო. სჯულისა და კანონის გადამლახველს ბორ-ოტმოქ-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

მედი ეწოდებოდა. იყო ბოროტმოქმედების ძველი იურიდიული ტერმ-ინოლოგიაც. მას ძვირისმოქმედი ეწოდებოდა.

გარდასვლა არის სჯულის, კანონისა და წესის დარღვევა.

გარდახდომა არის იგივე რაც გარდასვლა.

დათრგუნვა ნიშნავს დანაშაულის ჩადენას, კანონის დარღვევას.

უდებებაი და უგულებელყოფაი საქმისაი ნიშანავს თანანმდებობის პირის უმოქმედობას, რასაც მძიმე დანაშაული მოჰყვა.

მიშვება ნიშნავს როდესაც თანანმდებობის პირი საშუალებას აძლევს ბოროტმოქმედს თავისი უმოქმედობით დამნაშავემ თავის საწადელს მიაღწიოს.

წინაღდგომა და დარღვევაი კანონისა ეს იგივეა რაც უკანონობა.

ბრალი გამოიყენებოდა დანაშაულის ცნების გამოსახატავად. ივანე ჯავახიშვილის აზრით ბრალი უფრო უახლოვდება ცოდვას.

ცოდვა სამართალდარღვევის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი სახეა, ხოლო შეცოდება კი არის დანაშაული.

დანაშაული ვინმესთვის ფიზიკური და ზნეობრივი ზიანის მიყენებას ნიშნავდა. სულხან-საბა ორბელიანის აზრით ,,დაშავება ხეიბრად შექმნას'' ეწოდებოდა.

ბოროტმოქმედება იყო თავიდან საეკლესიო სახის დანაშაული, აქედან ის შემოვიდა საერო სამართალში. ეს ისეთი დანაშაულია როდესაც ბოროტმოქმედი სჯულის კანონს დაარღვევდა. ე. ი. საქმის ბოროტად კეთება.

ძვირისმოქმედება იგივე იყო რაც ბოროტმოქმედება. მაგალითად ცოტნე დადიანი ეუბნება მონღოლებს: ,,ჩვენ კოხტასთავზე (იგულისხმება 1246 წლის კოხტასთავის შეთქმულება) თქვენი საქმის მოსაწესრიგებლად ვიყავით შეკრებილნი, თქვენ კი დაგვიჭირეთ და ძვირისმოქმედთა თანა შეგვრაცხენითო''.

მეთოდი:

თემაზე მუშაობისას უპირველეს ყოვლისა გამოყენებულ იქნა ანალიზის მეთოდი. ეს მეთოდი მნიშვნელოვნად მიმაჩნია კონკრეტული საკითხის განხილვის დროს, რადგანაც ამ მეთოდის მეშვეობით, საკითხზე მსჯელობისას ვაანალიზებთ იმას, როგორი იყო დანაშაულობანი და სასჯელთა სისტემა ქართული სისხლის სამართლის მიხედვით.

შედეგები

წარმოდგენილი სტატიიდან მკითხველი საზოგადოება გაეცნობა თუ როგორი იყო ქართული სისხლის სამართლის მიხედვით დანაშაულის სახეები; მაგალითად, 1) დანაშაულობანი სახელმწიფოს წინააღმდეგ (ღალატი, განდგომა, მეფის შეურაცხოფა); 2) სქესობრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაულობანი. ესენია ბუნებითნი და ბუნების გარეშე; 3) დანაშაულობანი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ (კაცისკვლა, დაჭრა, მეკობრეობა, დაგერშვა); 4) დანაშაულობანი საკუთრების წინააღმდეგ (ნივთების მოპარვა, ძარცვა, საბუთების მოპარვა-მოსპობა). არსებობდა,

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

აგრეთვე დანაშაულის დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი და გამომრიცხავი შესატყვისი სასჯელები. სტატიაში ყველა ესენი განხილულია ცალ-ცალკე.

მსჯელობა

ძველი ქართული სამართლის პრობლემის კვლევისას სისხლის სამართალს ერთგვარი უპირატესობაც კი ენიჭება სამართლის სხვა დარგებთან შედარებით, იმ მხრივ, რომ სწორედ სისხლის სამართლის ცალკეულ ნორმებსა და ინსტიტუტებში უფრო ნათლად ჩანს საზოგადოების სოციალური სტრუქტურა ,კლასობრივი თანაფარდობა, ბრძოლა გაბატონებულ და ჩაგრულ ფენებს შორის **(მეტრეველი,2003:218).**

ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებით დასტურდება, რომ შემორჩენილი არ არის ადრეფეოდალური ხანის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ნარატიული წყაროები ,თუმცა პირდაპირი წყაროების ნაცვლად შეგვიძლია მოვიშველიოთ არაპირდაპირი წყაროები, საეკლესიო ხასიათის ძეგლები, საისტორიო ხასიათის თხზულებები და შეძლებისდაგვარად ამოვკრიბოთ ჩვენთვის საინტერესო მასალები სისხლის სამართლის ამა თუ იმ საკითხზე **(მეტრეველი, 2003:219).**

ქართულ სამართალში არსებობდა დანაშაულის რამდენიმე სახე: 1.დანაშაულებანი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ღალატი, განდგომა, მეფის შეურაცხყოფა 2. სქესობრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაულებანი 3. დანაშაულებანი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ 4. დანაშაულებანი საკუთრების წინააღმდეგ.

არსებობდა ასევე დანაშაულის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები რაზეც შემდგომ ვისაუბრებ. ხოლო რაც შეეხება უშუალოდ დანაშაულს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

განდგომა და ღალატი ორგვარი ხასიათის იყო : 1) როცა განდგომილები მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ადგილობრივ ძალებს ეყრდნობოდნენ 2) როცა განდგომილნი მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში უცხო ქვეყნის ძალებს იშველიებდნენ. ღალატი არაბული სიტყვაა და ნიშნავს მუხთლობას. ქართულ ლექსიკაში გამოიყენება ტერმინი **,,ორგულობაც“,** რომელიც ფარულ, შენიღბულ, ვერაგულ მოქმედებას ნიშნავდა. ორგული განდგომილები მეფეს ერთგულებას ეფიცებოდნენ, სინამდვილეში კი მის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ. განდგომილება უფრო ღია, გამჭირვალე მოქმედებას ნიშნავდა. მეფის შეურაცხყოფაც სახელმწიფო დანაშაულად ითვლებოდა. მეფის სიტყვიერად, საჯაროდ და პირადად შეურაცხყოფის შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ ერთი ცნობა, რომელიც დაცულია თამარ მეფის პირველ ისტორიკოსთან. ავტორი მოციქულის მიერ თამარ მეფის წინაშე სიტყვიერ თავხედობას აღწერს. სასჯელის სახე თამარ მეფის ისტორიკოსს შემდეგნაირად აქვს აღწერილი ,,როდესაც სულთან რუქნადინის მოციქულმა თამარ მეფეს აკადრა, რომ თუ ის მიიღებდა მაჰმადის სჯულს, მაშინ სულთანი მას ცოლად მოიყვანს, თუ არა და ხარჭად დაისვამსო“. ამის გაგონებაზე ზაქარია ამირსპასალარმა ისეთი ხეთქა ცხვირპირში სულთანის მოციქულს, რომ იგი მიწაზე დაეცა ვითარცა მკვდარი. როცა მოასულიერეს, მას უთხრა ზაქარიამ ,,უკადრებელი სიტყვითა

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

თქმისთვის სამართალი დამნაშავეს სასჯელად უდევს ჯერ ენის ამოკვეთას, ხოლო შემდეგ თავის მოკვეთას“. სასჯელის რა სახეს ითვალისწინებდა კანონი, როდესაც მეფეს ზურგსუკან აყენებდნენ შეუაცხყოფას, ჩვენთვის უცნობია **(ნადარეიშვილი, 1990:78).**

არსებობდა ასევე ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანიც. ქართული სამართალი ასეთ დანაშაულად იცნობს **მკვლელობას**. მკვლელობის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენებოდა, რადგან მკვლელობაც სხვადასხვა სახის იყო. სიცოცხლის მოსპობას **,,მოკვლა, კაცისკვლა ან მკვლელობა“** ეწოდებოდა. მკვლელობისთვის დაწესებული იყო სისხლის ფასი **(ლობჟანიძე, 2001311-312).**

ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით ქართული სამართალი არ ცნობდა მკვლელობისთვის შურისძიებას, როგორც საჯარო სასჯელს. მკვლელობისთვის სასჯელის სიდიდე დამოკიდებული იყო ასევე ბრალის ხარისხზე. მზირად წასვლით ანუ ჩასაფრებით მკვლელობა - მოწამლვით მკვლელობა უფრო მკაცრად ისჯებოდა როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოს მიერ. ეკლესია მას **20 წლით უზიარებლობას** უფარდებდა. გაუფრთხილებლობით ანუ უნებლიედ კაცის კვლისთვის უფრო მცირე სასჯელი - 10 წლით უზიარებლობა იყო დაწესებული. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ მკვლელობისთვის დაწესებულ სასჯელს, იგი განისაზღვრებოდა მკვლელისა თუ მოკლულის წოდებრივ-საგვარეულო თუ სამოხელეო კუთვნილებით. გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ასევე დანაშაულის სიმძიმე, ობიქტური მხარე. საერო სამართალი ასევე აწესებდა მამულიდან **დროებით გაძევებასაც.** ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან გარდა მკვლელობისა, ქართული სამართალი იცნობს ასევე **დაჭრას**, რასაც ძველ ქართულ სამართალში **დაკოდვა და დაჩხვეპვა** ეწოდებოდა **(მეტრეველი, 2003:269).**

სქესობრივი დანაშაულებანი იყოფოდა **ბუნებით დანაშაულად და ბუნების გარეშე დანაშაულად**. ქართული სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სქესობრივი ზნეობის დამრღვევ დანაშაულებებს, რაც თავის მხრივ ნაკარნახევი იყო ქართული ჩვეულებითი სამართლისგანაც **(ლობჟანიძე, 2001:312).**

საქართველოში განსაკუთრებულად იყო დაცული ქალწულობის ინსტიტუტი, რის გამოც საერო სამართალი მკაცრად სთხოვდა პასუხს ყველას, ვინც ქალწულს შეაცდენდა. არსებული წესით, ქალწულის ახლო ნათესავს შემცდენელზე შური უნდა ეძია. ბუნებით დანაშაულში აღსანიშნავი იყო **,,სიძვა“,** რომელიც დაუქორწინებელ ქალ-ვაჟთა სქესობრივ კავშირს ერქვა. ცოლის ან ქმარის უცხო კაცთან ან ქალთან სქესობრივ დაახლოებას **,,მრუშობა“** ეწოდებოდა. სიძვის ჩამდენ მამაკაცს **,,მსიძავი“,** ქალს კი ,,მეძავი'' ეწოდებოდა. საეკლესიო სამართალი სიძვისთვის მკაცრ სასჯელს - 7 წელს უზიარებლობას მიმართავდა. ხოლო მრუშობისთვის დამნაშავე 15 წელი უზიარებელი უნდა ყოფილიყო.

უკანონო ცოლს **ხარჭა** ეწოდებოდა. ცნობილია, რომ აშოტ კურაპალატს ჰყოლია ხარჭა. დიდ დანაშაულად ითვლებოდა ცოლის ღალატიც. ბუნების გარეშე დანაშაულად ითვლებოდა აგრეთვე **უასაკოს** (11-12 წელი) **გახრწნა.** ასევე ბუნების გა-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

რეშე დანაშაულად ითველობდა **სქესობრივი კავშირი ერთსქესიანთა** შორის. არსებობდა ე.წ. **,,სოდომური ცოდვა''**, 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ,,ძეგლისწერამ'' მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და აღნიშნა, რომ ეს ცოდვა მძვინვარებდა სპარსეთში, სომხეთში, რომში, რომელმაც დააუძლურა ეს სახელმწიფოები. კრებამ ამ დანაშაულზე დააწესა სასჯელი: **თვალების დათხრა და ასოს** მოჭრა, ასევე სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში მოხვედრა **(სურგულაძე, 1952:108).**

რაც შეეხება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს, მას საინტერესოდ აღწერს ვალერიან მეტრეველი. ის წერს, რომ ამ ტიპის დანაშაულებებიდან ქართულ სამართალში ცნობილია **მეკობრეობა და ავაზაკობა** - პარვა, რბევა, ძარცვა. მეკობრეობისა და ავაზაკობის მიზანს წარმოადგენდა სხვისი ქონების დაუფლება ძალის გამოყენებით, რასაც თან ახლდა უდანაშაულო ადამიანთა დატყვევება თუ დახოცვა.

პარვა სხვისი ქონების ფარულად მითვისება იყო. დღეს ,,პარვას" **ქურდობას უწოდებენ**. სხვის ქონების ძალით მიტაცებას **,,რბევა"** ეწოდებოდა. ტერმინი ,,ძარცვას" გამოიყენებოდა ქარავანზე თავდასხმისა და მისი ქონების მითვისების შემთხვევაში. ლაშა გიორგის მემატიანე აღნიშნავს, რომ ,,მეფეთა მეფის თამარის" დროს საქართველოს სახელმწიფოში ,,საყდართა და მონასტერთა დალეწვასა ვერავინ იკადრებდა, ქარავანსა ვერ ვინ ძარცუიდა, ამერი და იმერი, ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა, რომელი ერთიცა ქათამი არასად მოიკლოვდა, მპარავი ავისმოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარავი ვინმე პოვის, კარსა ზედა მოდის და დროშათა ქუეშე დადგის. ოვსმან, მთიულმან და ყივჩაღმანმა და სუანმა ვერ იკადრა პარვა'' **(მეტრეველი 2003:217).**

ძველ ქართულ სამართალში უხვად გვხვდება დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინები, რასაც არაპირდაპირი წყაროების ანალიზიც გვიჩვენებს. ასეთი ტერმინებია: **გარდასვლა** (სჯულის, კანონისა და წესის დარღვევა ანუ გარდასვლა), **დათრგუნვა** (სამართლის შჯულისა თუ კანონის დარღვევა - ,,სჯულნი დავთრგუნენ წიგნისაი და ახალი ბუნებითი" ,,გალობანი სინანულისანი"), **მიშვება (**თანამდებობის პირის მიერ თავისი უმოქმედობით და ხელშეუშლელობით დამნაშავისთვის ხელისშეწყობა. დღევანდელი შესატყვისია ,,მიმნებლობა"), **ბრალი (**დანაშაულის მცნების გამოხატვა. სულხან საბას განმარტებით - ,,მცირე რამ დანაშაული". ივანე ჯავახიშვილის აზრით კი ბრალი უფრო უახლოვდება **ცოდვას**), **ცოდვა** (სამართალდარღვევის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი სახე (ივანე ჯავახიშვილი), **შეცოდება** (დანაშაულის აღმნიშვნელია. მაგ. ბექა-აღბუღას ,,წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველსავე". ბოროტისმოქმედი და ძვირისმოქმედი ეს ტერმინები ერთი და იგივეს გამოხატავდა. თავდაპირველად ,,**ძვირისმოქმედი"** გამოიყენებოდა, შემდგომ საეკლესიო სამართლიდან საერო სამართალში შემოვიდა ,,**ბოროტისმოქმედი**". ტერმინი ძვირისმოქმედი გვხვდება ჟამთააღმწერელთან, როცა ცოტნე დადიანი მიმართავს მონღოლებს: ,,ჩვენ თქვენის საქმეების მოსაწესრიგებლად

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ვიყავით შეკრებილნი, თქვენ კი **,,ძვირის მოქმედთა** თანა შეგვრაცხეთ'' **(მეტრეველი, 2003:219).**

ძველ ქართულ სამართალში არსებობდა დანაშაულის **დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი** გარემოებები. დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან პასუხისმგებლობისგან სრულიად გასათავისუფლებელ გარემოებად ითვლებოდა მეფის ან ხელისუფლის სხვა მოხელეების ბრძანებით ჩადენილი დანაშაული. ომიანობისა და თავდასხმების დროს თავდაცვის მიზნით ადგილი ჰქონდა თვდამსხმელის დაჭრას. იმდროინდელი ქართული იურიდული ტერმინოლოგია ასეთ გარემოებებს უწოდებს **,,ჯეროვან“ ან ,,საჭირო მიზეზებს“.** ბრალეულობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა **მეორედ ჩადენილი** დანაშაული. იგი უფრო მკაცრად ისჯებოდა როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართლის ნორმებით. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, რომელსაც იმოწმებს ი. ჯავახიშვილი, ლიპარიტ ბაღვაში ხელმეორედ ღალატისათვის ორი წლით საპყრობილეში გამოკეტეს, შემდგომ კი საბერძნეთში გააძევეს.

ქართული სამართალი დამამძიმებელ გარემოებად თვლიდა **თანამდებობის პირის მიერ ჩადენილ დამაშაულს.** სამოხელეო ბოროტმოქმედება უფრო მკაცრად ისჯებოდა. დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა აგრეთვე ,,საკრძალავ ადგილთა შეხება და დაშვება“, რასაც შეიძლება ადამიანის დაზიანება ან სიკვდილი მოჰყოლოდა.

პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებზე საინტერესო ცნობას გვაწვდის პროფესორი ალექსანდრე ვაჩეიშვილი. ქართული სამართალი დუმდა ბატონის ყმაზე თავდასხმის შემთხვევაში, თუმცა ვახტანგის სამართლის წიგნის მიხევით ყმას ჰქონდა უფლება მოეკლა ბატონი, თუ ის შელახავდა მისი ოჯახის ცოლქმრულ სიწმინდეს. ქმარს ჰქონდა უფლება აგრეთვე მოეკლა მოღალატე ცოლი. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით პასუხიმგებლობისგან თავისუფლდებოდა **ქურდის მკვლელიც (ლობჟანიძე, 2001:306-308).**

საინტერესოა ჯგუფური დანაშაულებრივი ქმედება. ქართული სამართალი თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახედ ცნობდა ისეთ დანაშაულს, რომელსაც ორი პირი თანაბრად ჩადიოდა. ასეთ დანაშაულებს ქართული სამართალი უწოდებს **,,ორკელძოვე დანაშაულს**''.

ქართული სამართალი განასხვავებდა თანამონაწილეთა სახეებს. იმ პირს, რომელსაც სურდა დანაშაულის ჩადენა, მაგრამ მის განხორციელებას სხვისი დახმარებით ცდილობდა ეწოდებოდა **,,განმზრახი“**. ბოროტმოქმედების მიერ ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმდებულ დანაშაულს კი **,,შეზრახება“** ეწოდებოდა. თანამზრახველებს შემდგომ შეერთებულ პირს ეწოდებოდა **,,განზრახვის თანამოწმე**“. თუ ეს პირი მონაწილეობას მიიღებდა დანაშაულის ჩადენაში, მას ეწოდებოდა **,,მიმდგომი ან თანაშემდგომი“**. დანაშაულში ნებისმიერი სახით მონაწილეობას **,,თანადგომა“//,,ასაბია“//,,ასაბიობა“// ,,მეშველი“** ეწოდებოდა.

სასჯელი. სასჯელის მიზნები და სახეები ქართულ სამართალში. დანაშაული და სასჯელი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. სისხლის სამარ-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

თლის კანონმდებლობაში ვერ ვხვდებით სასჯელის საკანონმდებლო განსაზღვრებას. მეცნიერთა ნაწილი სასჯელის დეფინიცირების მცდელობისას იშველიებს პოზიტიურ კანონმდებლობას, სისხლის სამართლის მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს და სასჯელს სახელმწიფო იძულებით ღონისძიებად მიიჩნევს.

სასჯელის პრობლემატიკა სცდება საკანონმდებლო ჩარჩოებს. იგი სისხლის სამართლის დოგმატიკისა და ფილოსოფიის განხილვის საგანს წარმოადგენს. ექვთიმეს მიერ გადმოქართულებულ ნაშრომში ,,კანონი შეცოდებულთანი“, ახსნილია სასჯელის წარმოშობა და არსი, როგორც ღმერთის ნება. ,,ღმერთს სურს არა ადამიანის ტანჯვა და სიკვდილი, არამედ მისი გამოსწორება“ **(ვაჩეიშვილი,1946:202).**

სასჯელთა მიზნების შესახებ მოძღვრება ივანე ჯავახიშვილმა ამომწურავად გამოიკვლია. ის ასახელებს სასჯელის ოთხ მიზანს. უპირველესი მიზანი დამნაშავის ზნეობრივი გამოსწორებაა. სწორედ ამ მოსასზრებაზე იდგა ექვთიმე მთაწმინდელი და იგი სასჯელის დანიშნულებად თვლიდა ,,წვრთნას“. გიორგი მთაწმინდელი, რომელიც იყო ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერი, მიუთითებს, რომ მამა ექვთიმე დასჯილ ბერებთან მივიდოდა ხოლმე და ნუგეშს სცემდა, სიტყვით და საქმით ეხმარებოდა მათ. ექვთიმე ნუგეშს სცემდა და ასაჩუქრებდა ყოფილ დამნაშავეს ან ჩოხით, ან საბეჭურით, ან სხვა რაიმეთი, რათა მას გულში მტრობა არ დარჩენოდა **(მეტრეველი,2003:248).**

სასჯელის დანიშნულების ეს პოლიტიკა ქართულ საერო სამართალსაც ჰქონდა შეთვისებული. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ დავით აღმაშენებლის მიდგომა ლიპარიტ ამირისადმი. ისტორიკოსის თქმით, ღალატის განზრახვისთვის მეფემ მოინდომა ლიპარიტის გამოსწორება ანუ ,,გაწურთუა“, რისთვისაც რამდენიმე ხნით დააპატიმრა. ფიქრობდნენ, რომ ეს დრო საკმარისი იყო მის გამოსასწორებლად, რის შემდეგაც მეფეს მისთვის თანამდებობაც კი დაუბრუნებია. ამით მეფე ამტკიცებდა განდგომილისა და მოღალატისადმი კეთილ განწყობას. ამდენად, სასჯელთა სისტემის ქვაკუთხედად დამნაშავეთა ,,წურთნისა და მოქცევა-გამოსწორების“ მიზანი ყოფილა დასახული **(ჯავახიშვილი,1984:380).**

სასჯელის მეორე მიზანს **,,დამნაშავე პირთა მიმართ ხორციელი და ფიზიკური ვნების მიყენება“ წარმოადგენდა.** ეს იმ შემთხვევაში, შემთხვევაში თუ ჰუმანური სასჯელით არ ხერხდებოდა დამნაშავის გამოსწორება.

ძველი ქართული საეკლესიო სამართლიდან ირკვევა, რომ იყენებდნენ დამნაშავე ბერების მიმართ **,,ღვედითა მიმთხვევას“.** საერო სამართლისათვის დამახასიათებელი იყო **ტაჯგანაგით ცემა** და ა.შ. ამ სახის სასჯელს დაშინების მნიშვნელობაც ჰქონდა.

სასჯელის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვა. თუ დამნაშვეს დანაშაულისადმი მიდრეკილება ჰქონდა ან დანაშაულისადმი მიდრეკილება ,,გვარისაგანცა მოაქვდათ,“ ასეთ შემთხვევაში გამოიყენებოდა **ექსორია და გაძევება.** დავით აღმაშენებელმა ლიპარიტი მეორედ ჩადენილი დანაშაულისთვის ,,ორ წელს“ დაატყვევა იყო და ,,საბერძნეთს გააგზავნა“ ექსორიად.

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

გიორგი მთაწმინდელის ცნობით, ექვთიმე მთაწმინდელმა ტყუილი ამბის მიტანისთვის ,,მრავალნი ძმანი მონასტრისგან გაახსნა, რათა კრებული მშვიდობით იყოს“. გაძევება სხვა ადგილზე გადასახლებას ნიშნავდა, ხოლო ექსორია ქვეყნიდან მოკვეთას. ასეთი სასჯელის მიზანი იყო საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დამყარება, დამაშავე პირთაგან საზოგადოების გაწმენდა **(ჯავახიშვილი,1984:380, ვაჩეიშვილი, 1946:83).**

სასჯელის მიზნების და დანიშნულების შესახებ შედარებით უფრო გლობალურად მსჯელობს ეფრემ მცირე. მისი აზრით, ადრეულ ეტაპზე სასჯელის მიზანი და დანიშნულება სამაგიეროს მიზღვევა იყო, განვითარებულ სახელმწიფოში კი მისი მიზანი უნდა იყოს კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვა.

ვაჩეიშვილის აზრით აღნიშნული ეპოქის იურიდიული მწერლობასა და მოქმედ სამართალში ცნობილი იყო თეორიები, რომელთაც თანამედროვე მეცნიერება პრევენციის თეორიებს უწოდებს. ამ თეორიების მიხედვით სასჯელის მიზანი იყო დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. მოძღვრებები პრევენციის შესახებ ძველი დროის მწერლობაში გვხვდება. იგი კარგად აითვისა რომის სამართალმაც. გამოიკვეთა პრევენციის როგორც ზოგადი, ისე კერძო დანიშნულება. ვაჩეიშვილის აზრით ქართულ სამართალში სასჯელს ჰქონდა სამაგიეროს მიზღვევის დანიშნულება. ტერმინი ,,მისაგებელი“ სწორედაც რომ სამაგიეროს მიზღვევის გამომხატველია.

სასჯელის შესახებ საინტერესო მოსაზრებებს ვხვდებით გ. ნადირაშვილთან. მისი აზრით კერძო სასჯელშიი იგულისხმება დამნაშავის მიერ დაზარალებულის, ანუ კერძო ინტერესის მოთხოვნების ანუ კერძო ინტერესების დაკმაყოფილება. ქართული სამართალი იცნობს საჯარო სასჯელებსაც. ესაა სახელმწიფოს მიერ დანიშნული იძულებით ღონისძიებება დანაშაულის ჩადენისთვის. მძიმე სამართალდარღვევების დროს დამნაშავე სისხლის ფასსაც ანაზღაურებდა და საჯარო სასჯელსაც იხდიდა. გ. ნადირაშვილის აზრით ,,სისხლის ცნება“ არ ამოწურავდა სასჯელის ცნებას. ,,სისხლი“ ქართულ სამართალში ნიშნავდა **,,სისხლის ფასს“.** იგი ქონებრივ საზღაურს წარმოადგენდა, რომელიც დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეებისთვის უნდა გადაეხადა კანონით განსაზღვრულ სასჯელთან ერთად **(ნადარეიშვილი,2000:100-128).**

ადრეფეოდალური და განმვითარებული ეპოქის ბარის საქართველოში საჯარო სასჯელს ,,**პატიჯი“** ეწოდებოდა. სახელმწიფოებრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე დანაშაული განიხილებოდა, როგორც კერძო პირის უფლების დარღვევა. ამისთვის დაწესებული იყო ქონებრივი საზღაური. მრავალი საუკუნის განმავლობაში **,,სისხლი“ და ,,პატიჟი“** ერთდროულად არსებობდა, საბოლოოდ კი საჯარო სასჯელის გამოყენება-შეფარდება სახელმწიფომ აიღო ხელში.

ქართულ სამართალში კერძო სასჯელის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ასევე **,,ზღვევა“.** ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით ქურდმა ნაქურდალი შვიდეულად უნდა ზღოს ნივთის პატრონის სასარგებლოდ.

ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, ძველ ქართულ მართმსაჯულებას (მონღო-

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ლობამდე) სასჯელთა მთელი სისტემა ჰქონდა შემუშავებული, კერძოდ: **სიკვდილით დასჯა, სხეულის დამასახიჩრებელი სასჯელები, ექსორია და გაძევება, თავისუფლების აღკვეთა, მტკივნეული სასჯელები, ქონების კონსიფიკაცია, მოქალაქეობრივი უფლებების დროებითი და სამუდამოდ ჩამორთმევა, ქონებრივი საზღაური სახელმწიფოს, ფეოდალის ან სასმართლოს სასარგებლოდ, დაკრულვა** და სხვა საეკლესიო სასჯელები.

სიკვდილით დასჯა შეეფარდებოდა მხოლოდ სახელმწიფოს ღალატისთვის, მეფის პირადი შეურაცხყოფისთვის, მეკობრეობისთვის. XI-XII საუკუნეებში ქართული სამართალი მეტად ჰუმანური იყო. ეს გამოწვეული იყო ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და ქართული კულტურის აღმავლობით, რომელიც IX-X საუკუნეებიდან დაიწყო და მონღოლთა შემოსევებამდე გაგრძელდა. საქართველოში იშვიათად მიმართავდნენ სიკვდილით დასჯას. თამარის ისტორიკოსის ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის მიხედვით, თამარს თავისი მეფობისას, მისი განკარგულებით მათრახის ცემითაც კი არავინ დაუსჯია. მისთვის უცხო დასახიჩრება ან დაბრმავება. თამარმა აკრძალა სხეულის დამასახიჩრებელი სასჯელები, მაგრამ ერთ დამნაშავეს მაინც ამოწვეს თვალები. ეს იყო გამონაკლისი შემთხვევა - ,,მისსა სამეფოსა შინა ერთიცა მსახურნი არ გაპატიჟებულა, თუნიერ გუზან ტაოსკარელისგან: მას თუალნი დასწუნეს“.

სხეულის დამაზიანებელ სასჯელებს შორის იყო **დასაჭურისება, თვალთა დაწვა ანუ დაბრმავება, ენის მოჭრა ასევე ხელის და ფეხის** მოჭრა.

ექსორია და გაძევება. ექსორია განსხვავდებოდა გაძევებისგან. ექსორიის დროს დამნაშავეს კონკრეტულ ქვეყანას მიუჩენდნენ. ქართული წყაროების მიხედვით ექსორიის ადგილად ხშირად ჩანს მაკედონია და კონსტანტინეპოლი. რაც შეეხება გაძევებას ამ დროს დამნაშავეს მოაშორებდნენ თავის საცხოვრებელ ადგილს თუმცა კონკრეტულ ადგილს არ მიუთითებდნენ.

თავისუფლების აღკვეთა, როგორც იძულებითი სასჯელის სახე. სულხან-საბას განმარტებით ფეოდალიზმის ეპოქაში არსებობდა საპყრობილის სამი სახე: **საპატიმრო, დილეგი და საკანი.** საპატიმრო არის საპყრობილე სახლი სადაც დაკავებული პირი იმყოფება. საკანი იყო საპყრობილის ქვედა სართული, ბნელი ადგილი, ხოლო დილეგი საპყრობილეს ის სახეა სადაც ბორკილგაყრილი პატიმრები არიან მოთავსებული **(ნადარეიშვილი, 2000:100-128).**

არსებობდა **მოქალაქეობრივი უფლებების დროებით ან სამუდამოდ ჩამორთმევა და გამაწბილებელი** სასჯელები. მოქალქეობრივი უფლების ჩამორთმევა გულისხმობდა ლაშქარში მონაწილეობის აკრძალვას. ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, ,,ლაშქართა შიგან არ შეშვება“ მიესჯებოდა მათ, ვისაც ეკლესიამ შეუფარდა საეკლესიო სასჯელი **,,დაკრულვა“.** ასეთი სასჯელი მკვლელობისთვის და სამშობლოს ღალატისთვის იყო დაწესებული. საქართველოში გვხდებოდა აგრეთვე: **თავზე ლაფის დასხმა, გაპარსვა, თავზე ნაცრის დაყრა, ვირზე შესმა** და ასე შემდეგ .

ქონებრივი საზღაურის დანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით საინტერე-

CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

სოა ,,შუიდეულის ისტორია“ (გ. ნადირაშვილი). ეს გულისხმობდა დაზარალებულისათვის ნაქურდალის ან მისი ფასის უკან დაბრუნებას. ამავე დროს, ქურდს ხელისუფლების სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულება. გარდა **შვიდეულისა** ვხვდებით **სამეულსა და ხუთეულსაც.** ამდენად, XII საუკუნეში ქონებრივი სასჯელი დანაშაულის ჩადენისას საჯარო სასჯელად გვევლინება **(ნადარეიშვილი, 2000:გვ 106).**

დაკრულვა საეკლესიო სასჯელი იყო, თუმცა მას ახლდა საერო ხასიათის სასჯელებიც. ეკლესია მას იყენებდა **ზნეობრივი და სქესობრივი დანაშაულებებისთვის, მკრეხელობასა და მკვლელობისთის,** ხოლო **საერო ხელისუფლება დაკრულვილს ჩამოართმევდა მამულს და უკრძალავდა სამხედრო სამსახურს.** არსებობდა ასევე სხვა საეკლესიო სასჯელებიც, მაგალითად უზიარებლობა **(მეტრეველი,2003:258).**

ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით სასჯელმა უნდა დააშინოს დანაშაულის ჩამდენი და გარეშე პირებიც. მე-13 მუხლის მიხედვით ,,ცრუ მოწმე“ მკაცრად უნდა დაისაჯოს, რომ იგივე სხვამ აღარ გაიმეოროს **(ვაჩეიშვილი,1964:95-96).**

სიკვდილით დასჯა. ძველ ქართულ სამართალში არსებობდა სიკვდილით დასჯის ორი სახე ესენი იყო: **თავის მოკვეთა და ჩამოხრჩობა.** ვახტანგის სამართლის წიგნში სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელი პირდაპირ არ არის მოხსენიებული, მაგრამ აღნიშნული წიგნის 33-ე, 81-ე, 82-ე, 221-ე, 222-ე მუხლების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ კონკრეტული ქმედებისთვის სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა (მეტრეველი 2003:261).

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან სასჯელი გამკაცრდა. სიკვდილით დასჯა ხორციელდებოდა თავის მოკვეთით და ცეცხლზე დაწვით. გურიის სამთავროში ტყვეების გამყიდველებს ცეცხლზე ცოცხლად წვავდნენ. თავი მოჰკვეთეს და ისე დაწვეს ცეცხლზე მეფე ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულების ზოგიერთ მონაწილე.

ვახტანგის სამართლის წიგნში სასჯელთა შორის ყურადღებას იპყრობს დამასახიჩრებელი სასჯელები, როგორიც იყო მაგ: **ნასაღი (ასომოკვეთა).** ასევე ვხვდებით ტკივილის მიმყენებელ სასჯელებს **(ცემა),** თავისუფლების აღკვეთას, გამაწბილებელ, ქონებრივ და საეკლესიო ხასიათის სასჯელებს. საეკლესიო ხასიათის სასჯელებს შორის იყო **შეჩვენება.** შეჩვენებულ პირს არ ჰქონდა ზიარების, ქორწინების და გვირგვინთა კურთხევის უფლება. გარდაცვალების შემდეგ მას არც ანდერძი აეგებოდა ქრისტიანულად და არც დაიკრძალებოდა. ამ სასჯელს მოჰყვებოდა **შერისხვა,** რომელიც იყო საერო ხასიათის სასჯელი.

დასკვნა

სისხლის სამართალი არის სამართლის ერთ-ერთი დარგი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედება ითვლება დანაშაულად. ასევე თითოეული დანაშაულისათვის აწესებს შესაბამის სასჯელს.

სისხლის სამართლის ინსტიტუტებიდან უმთავრესია დანაშაულის, სასჯელის, ბრალის და სხვა ინსტიტუტები.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

ქართული ჩვეულებითი სამართლის მთავარი მიზანი სისხლის აღების ადათის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატებოდა. ტრადიციული სამართლის ძალით, მკვლელის საზოგადოებრივი სტატუსი დანაშაულის ჩადენისთანავე მკვეთრად უარესდებოდა, მისი სოციალური და სულიერი უფლებები მყისვე იზღუდებოდა. მაგალითად, სვანეთში მკვლელი ორ კაცთაგან არ უნდა გამოჩენილიყო, მხოლოდ ერთს ჰქონდა დალაპარაკების უფლება, მკვლელს ასევე, კატეგორიულად ეკრძალებოდა ეკლესიასთან მიახლოებაც კი, არა თუ დღესასწაულებში მონაწილეობა. იგი ვერ მივიდოდა ქორწილში, ვერ დაესწრებოდა მიცვალებულისათვის წესის აგების რიტუალს. თემი ამ საშუალებებითაც ებრძოდა სისხლის აღების ადათს.

თემის ანუ ხატის ღალატის უმძიმესი დანაშაულის შემდეგ მთავარ დანაშაულად ფშავში მკვლელობა ითვლებოდა. მკვლელის „მამკლავს,“„ცოდვიანს“ ეძახდნენ. მათი აზრით, მკვლელს ცოდვა საიქიოშიც მიჰყვებოდა, მას „ მკვდრის მზიდავს“ ეძახდნენ, რადგან ხალხის წარმოდგენით, მკვლელი მოკლულს საიქიოში ზურგით ატარებს. მკვლელის საზოგადოებრივი პრესტიჟი მკვეთრად ეცემოდა, იგი იძულებით გადაიხვეწებოდა სხვა თემში. უწყვეტ სისხლისღვრას თემი აქტიურად უპირისპირდებოდა. ცდილობდა მოსისხლეთა შერიგებას. საზოგადოება ებრძოდა სისხლის აღების ჩვეულებას. ფშაური მასალით, „ნიკო წიკლაურმა მოკლა ივანე ბოსლიაშვილი... მკვლელი ასახლდა და გაეცალა სოფელს... მოკლულის ბიძაშვილებსა და ერთ-ერთ ძმას განუზრახავთ თავსისხლი აეღოთ მკვლელზე, სათანადო თადარიგსაც შესდგომიან. ეს ცნობილი გახდა მოკლულის დედისათვის, მან შეყარა თავისი ვაჟი და ბიძაშვილები, მოიხადა მანდილი, დადო მათ წინ და თქვა: „ჩემი თხოვნაა, ნუ მოკლავთ მკვლელს, ცოდვიანის ცოდვას ნუ დაიდებთ. იგი ისე მოკვდეს, თავისი მიწა არ ეღირსოს.“ რა თქმა უნდა, შვილი და ბიძაშვილები შეწუხდნენ, მაგრამ სხვა რა ძალა იყო, დაემორჩილნენ დედის თხოვნას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვაჩეიშვილი 1946: ალექსანდრე ვაჩეიშვილი, ნარკვევები საქართველოს სისხლის სამართლის ისტორიიდან, I, თბილისი;

ლობჟანიძე 2001: გივი ლობჟანიძე, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი;

მეტრეველი 2003: ვალერიან მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი;

ნადარეიშვილი 1990: გიორგი ნადარეიშვილი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი;

სურგულაძე 1952: ივანე სურგულაძე, ნარკვევები სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბილისი;

ჯავახიშვილი 1984: ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტომი VII, თბილისი.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

References:

Javakhishvili 1984: Ivane Javakhishvili, History of Georgian Law, Volume VII, Tbilisi;
Lobzhanidze 2001: Givi Lobzhanidze, History of the State and Law of Georgia, Tbilisi;
Metreveli 2003: Valerian Metreveli, History of the State and Law of Georgia, Tbilisi;
Nadareishvili 1990: Giorgi Nadareishvili, History of the State and Law of Georgia, Tbilisi;
Surguladze 1952: Ivane Surguladze, Essays from the History of the State and Law, Tbilisi;
Vacheishvili 1946: Aleksandre Vacheishvili, Essays from the History of the Criminal Law of Georgia, I.

CC BY-ND 4.0

Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026